

## საქართველოს ბანკის კამპანია „შეუფასებელი ზაფხული Mastercard-ისგან“

### წესები და პირობები

#### 1. ზოგადი პირობები

- 1.1 წინამდებარე კამპანიის, (შემდგომში - კამპანია), წესებს და პირობებს განსაზღვრავს და გათამაშებას ორგანიზებას უწევს: საერთაშორისო სარეკლამო კომპანია “McCann Erickson”-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში შპს „McCann Erickson” (საიდენტიფიკაციო კოდი: 404882766), (შემდგომში - ორგანიზატორი), რეგისტრირებული მისამართით: ქ. თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71;
- 1.2 კამპანიის პარტნიორი: სს საქართველოს ბანკი, ს/კ: 204378869 (შემდგომში - ბანკი), რეგისტრირებული მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ი.გაგარინის ქუჩა 29ა

კამპანია ტარდება საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) მიერ ემიტირებული **Mastercard-ის** სტუდენტური ბარათების (შემდგომში - ბარათი) გამოყენებით უნაღდო ანგარიშსწორებისას საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში და ონლაინ შესყიდვებისას.

#### 2. კამპანიაში მონაწილე პირები

- 2.1 კამპანიაში მონაწილეობის უფლება აქვთ ფიზიკურ პირებს (შემდგომში - მონაწილე), რომლებიც არიან:
  - 2.1.1 18 წელს ზევით;
  - 2.1.2 საქართველოს მოქალაქეები;
  - 2.1.3 ბანკის მიერ გაცემული Mastercard-ის სტუდენტური ბარათის მფლობელები.
- 2.2. კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან პირები:
  - 2.2.1 რომლებიც არ აკმაყოფილებენ 2.1 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
  - 2.2.2 ბანკის თანამშრომლები;
  - 2.2.3 ორგანიზატორის თანამშრომლები
  - 2.2.4 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებებში მონაწილეობის მიღება;

#### 3. კამპანიის მოქმედების ვადა

- 3.1 კამპანიის ჩატარების პერიოდია 2019 წლის 15 აპრილიდან 2019 წლის 9 ივნისის ჩათვლით.
- 3.2 კამპანია ტარდება 8 ეტაპად:
  - 3.2.1 პირველი ეტაპი - 15.04.19-დან 21.04.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.2 მეორე ეტაპი - 22.04.19-დან 28.04.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.3 მესამე ეტაპი - 29.04.19-დან 05.05.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.4 მეოთხე ეტაპი - 06.05.19-დან 12.05.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.5 მეხუთე ეტაპი - 13.05.19-დან 19.05.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.6 მეექვსე ეტაპი - 20.05.19-დან 26.05.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.7 მეშვიდე ეტაპი - 27.05.19-დან 02.06.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
  - 3.2.8 მერვე ეტაპი - 03.06.19-დან 09.06.19-ის ჩათვლით (კამპანიის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);

#### 4. გამარჯვებული მონაწილეების განსაზღვრის პირობები

- 4.1 კამპანიაში გამარჯვებულად (შემდგომში - გამარჯვებული) ჩაითვლება მონაწილე, რომელიც შესაბამისი ეტაპის განმავლობაში ბანკის ბარათით განახორციელებს ყველაზე მეტ ტრანზაქციას (თითო ტრანზაქცია მინიმუმ 5 ლარი), ხოლო მთავარ გამარჯვებულად - მონაწილე, რომელიც კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში შეასრულებს ყველაზე მეტ ტრანზაქციას (მინ. 5 ლარი თითო) შემდგომში - მთავარი გამარჯვებული).
- 4.2 იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე მონაწილეს (როგორც გამარჯვებულის შემთხვევაში, ასევე მთავარი გამარჯვებულის შემთხვევაში) აქვს თანაბარი რაოდენობის გადახდები, უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს,

რომელმაც დროში პირველმა შეასრულა ტრანზაქცია

- 4.3 ყოველი ეტაპის ბოლოს, წინა პერიოდისთვის გამარჯვებულის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება [www.sb.ge](http://www.sb.ge) სადაც აგრეთვე მითითებული იქნება რეიტინგი წინა პერიოდისთვის 14 ლიდერი პოზიციის (რეიტინგში ადგილი) შესახებ.
- 4.4 კამპანია ეფუძნება გარანტირებული მოგების პრინციპს: ყველაზე აქტიური მონაწილე, რომელსაც ყოველ ეტაპზე/კამპანიის პერიოდში ექნება ყველაზე მეტი ტრანზაქცია, მოიგებს გარანტირებულ საჩუქრებს.
- 4.5 ყოველ ეტაპზე განისაზღვრება 14 (თოთხმეტი) გამარჯვებული, რომლებსაც საშუალება ექნებათ მიიღონ საჩუქარი.
- 4.6 მთელი კამპანიის განმავლობაში გამოვლინდება მთავარი საჩუქრის მხოლოდ ერთი გამარჯვებული
- 4.7 მთავარი გამარჯვებული გამოვლინდება 2019 წლის 11 ივნისს.
- 4.8 ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილია განსაზღვროს მთავარი გამარჯვებული განმეორებით, თუ არსებობს ეჭვი ან/და იკვეთება მთავარი გამარჯვებულის მხრიდან ნებისმიერი სახის ფალსიფიკაციის ფაქტი.
- 4.9 გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება ყოველი ეტაპის დასრულების მომენტისათვის ყველაზე მეტი ტრანზაქციის მქონე ბარათის აღიარებით. გამარჯვებულ მონაწილესთან დაკავშირება მოხდება სს საქართველოს ბანკის მიერ. პრიზის მიღების ვადისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოხდება პირადი სატელეფონო ნომერის საშუალებით (რომელიც მითითებულია ბარათის რეგისტრაციისას). გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება კონკრეტული ეტაპის დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. ინფორმაცია გამარჯვებულთა შესახებ გამოქვეყნდება კამპანიის დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: [www.sb.ge](http://www.sb.ge)

## 5. კამპანიის პირობები

- 5.1 კამპანიაში მონაწილეობისათვის საჭიროა მონაწილემ განხორციელდეს ბარათით უნაღდო ანგარიშსწორება ნებისმიერი პოს-ტერმინალის საშუალებით სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში ან განახორციელოს ონლაინ შესყიდვა, ორივე შემთხვევაში მინიმუმ 5 (ხუთი) ლარის (ეკვივალენტი სხვა ვალუტაში) თანხის ოდენობით.
- 5.2 კამპანიაში მონაწილეობას არ იღებს ის ტრანზაქციები, რომელთა გაუქმებაზე ან დაბრუნებაზე ბანკმა მიიღო შესაბამისი შეტყობინება, შიდა ანგარიშებზე გადარიცხვა, სხვა ბანკში გადარიცხვა, ATM-იდან ფულის გამოტანა, ტრანსპორტში გატარება.
- 5.3 მონაწილე, რომელიც ერთხელ მიიღებს საჩუქარს ეთიშება შემდეგი ეტაპის გათამაშებას, თუმცა აგრძელებს მონაწილეობას კამპანიაში მთავარი საჩუქრის მისაღებად.
- 5.4 ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში გამორიცხოს მონაწილე კამპანიიდან მონაწილის მიერ კამპანიის წესების კეთილსინდისიერად შესრულების ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ან მონაწილის მიერ კამპანიის წესების განზრახ დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში.
- 5.5. მთავარმა გამარჯვებულმა უნდა გამოიყენოს მთავარი საჩუქარი, ანუ განახორციელოს მოგზაურობა ერთ ჯერზე 12.07.2019-14.07.2019 პერიოდში.

## 6. კამპანიის საპრიზო ფონდი

- 6.1 კამპანიის საპრიზო ფონდი ითვალისწინებს ბრენდირებული საჩუქრების შეკვრას (შემდგომში - საჩუქარი): პირველი რვა ეტაპის საჩუქრები:
  - პირველი ადგილი: ფირსაკრავი
  - მეორე ადგილი: ფოტო კამერა
  - მესამე ადგილი: უსადენო ყურსასმენი
  - მეოთხე ადგილი: ბლუთუზ დინამიკი
  - შემდეგი 10 ადგილი: 5000MB ინტერნეტი
- 6.2 კამპანიის მთავარი საჩუქარია მოგზაურობა ორ კაცზე ULTRA ფესტივალზე ხორვატიაში (შემდგომში – მთავარი საჩუქარი).
- 6.3 მთავრი საჩუქარი მოიცავს ორ ადამიანზე:
  - 6.3.1 ავიაბილეთებს;
  - 6.3.2 ფესტივალის 3 დღიან VIP ბილეთებს
  - 6.3.3 ტრანსფერი აეროპორტიდან სასტუმროში, სასტუმროდან სტადიონზე და უკან
  - 6.3.4 განთავსება ორადგილიან ნომერში 5\* სასტუმროში
  - 6.3.5 სასაჩუქრე ნაკრები

- 6.3.6 Back stage ტური
- 6.3.7 Mastercard VIP ზონაში შესვლა
- 6.4 ორგანიზატორი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაბეგროს და გამოქვითოს პრიზების გადასახადები
- 6.5 შეუძლებელია პრიზების ღირებულების შესაბამისი ფულადი ანაზღაურება
- 6.6 პრიზები განისაზღვრება ბანკის / ორგანიზატორის შეხედულებისამებრ და შეიძლება განსხვავდებოდეს რეკლამებსა და საინფორმაციო მასალებზე არსებული ვიზუალებისგან და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მონაწილეთა / გამარჯვებულების მოლოდინს.

## 7. საჩუქრების მიღების პირობები

- 7.1 გამარჯვებულისათვის საჩუქრის გადაცემა განხორციელდება, გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 (ხუთ) საბანკო დღის განმავლობაში, საქართველოს ბანკის სათაო ოფისში.
- 7.2 მთავარმა გამარჯვებულმა 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ბანკი შეატყობინებს მას, რომ იგი მთავარი გამარჯვებულია, ორგანიზატორს უნდა გაუგზავნოს შემდეგი დოკუმენტები:
  - 7.2.1 მისი და მისი თანხმლები პირის საერთაშორისო პასპორტები
  - 7.2.2 განცხადება კამპანიის მთავარი საჩუქრის მიღების თანხმობაზე;
- 7.3 იმ შემთხვევაში თუ მთავარ გამარჯვებულს თან ახლავს 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დამატებით უნდა წარადგინოს:
  - 7.3.1 არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ასლი, ინგლისურად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული
  - 7.3.2 საქართველოს ფარგლებს გარეთ არასრულწლოვანის გაყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 7.4 მიწოდებული დოკუმენტების ვალიდურობასა და სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ გამარჯვებულს. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო.
- 7.5 ბანკი/ორგანიზატორი უფლებამოსილია მთავარ გამარჯვებულს მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა მთავარი საჩუქრის მიღების მიზნებისათვის.
- 7.6 დოკუმენტების შესაბამის ვადაში წარუდგენლობის, არასრული ან/და არასათანადო დოკუმენტების წარდგენის ან იმ შემთხვევაში თუ არსებობს ეჭვი, რომ დოკუმენტები ყალბია მთავარ გამარჯვებულს ავტომატურად ართმევს მთავარი გამარჯვებულის სტატუსს და იგი ეთიშება კამპანიას.
- 7.7 იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს არ გააჩნია შესაძლებლობა/გამოყენების სურვილი მიიღოს საჩუქარი იმ მიზეზით, რომელიც არ არის დამოკიდებული ორგანიზატორზე/ბანკზე, ორგანიზატორი/ბანკი არ გადაუხდის გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს რაიმე სახის კომპენსაციას.
- 7.8 თუ გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს არ შეუძლია ან არ აქვს სურვილი მიიღოს პრიზი, იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რაც დამოკიდებული არ არის ბანკზე/ორგანიზატორზე, ბანკი/ორგანიზატორი არ გადაუხდის გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს კონპენსაციას.

## 8. სხვა პირობები

- 8.1 ორგანიზატორის / ბანკის გადაწყვეტილება კამპანიის ჩატარების შესახებ ყველა საკითხთან დაკავშირებით განიხილება საბოლოო სახით და ეხება ყველა მონაწილეს.
- 8.2 ორგანიზატორს/ბანკს უფლება აქვს არ განახორციელოს კორესპონდენცია ან კონტაქტი მონაწილეებთან ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის გამარჯვებულების განსაზღვრის შესახებ, რომელიც მითითებულია წესებისა და პირობების 4.1 პუნქტში.
- 8.3 მონაწილეები იღებენ პასუხისმგებლობას კამპანიის პირობების შესაბამისად ყველა მოთხოვნის შესრულებაზე
- 8.4 კამპანიაში მონაწილეობა ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მონაწილე გაეცნო და ეთანხმება კამპანიის წესებსა და პირობებს.
- 8.5 ორგანიზატორი/ ბანკი არ არის პასუხისმგებელი თუ მონაწილეს არ შეუძლია შეასრულოს კამპანიის წესებისა და პირობების შესაბამისი მოთხოვნა და მიიღოს საჩუქარი/ მთავარი საჩუქარი ნებისმიერი მიზეზის გამო (მათ შორის, მაგრამ შეზღუდვის გარეშე - გამოწვეული ფორს-მაჟორული ან პირადი გარემოებების შედეგად, რომლებიც არ არის დამოკიდებული ორგანიზატორსა და ბანკზე). ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი / ბანკი არ არის ვალდებული მონაწილეს რაიმე სახის ზარალი აუნაზღაუროს.
- 8.6 მონაწილე პირადად აგებს პასუხს მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.
- 8.7 კამპანიაში მონაწილეობით, მონაწილე კეთილ ნებას გამოთქვამს მასზედ, რომ კამპანიის ორგანიზატორი არის უფლებამოსილი პირადი ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაზე. პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით

დამატებითი ინფორმაცია იხ:

თქვენი პერსონალური მონაცემები, როგორცაა სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, გამოიყენება მხოლოდ კამპანიაში მონაწილეობის მიზნით და გამარჯვებულებს აცნობებს პრიზების მოგების და მათი მიღების შესახებ. პერსონალური მონაცემები ინახება საქართველოში და არ ვრცელდება მესამე პირებზე, გარდა ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის. კამპანიის მონაწილეობით, თქვენ ეთანხმებით თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებას ზემოთ აღწერილის შესაბამისად და ნებისმიერ დროს შეგიძლიათ უარი განაცხადოთ მათ გამოყენებაზე, მაგრამ ვეღარ შეძლებთ კამპანიაში მონაწილეობის მიღებას.

8.8 კამპანიაში მონაწილეები მონაწილეობით თანხმობას აცხადებენ მათი სახელის, ფოტო/ვიდეოს გამოყენებაზე ნებისმიერი სარეკლამო მიზნებისთვის, ნებისმიერ მედია და სოციალურ არხზე, დამატებითი თანხმობის გარეშე.

## 9. კამპანიის ინფორმირების წესი

9.1. კამპანიის პირობები და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: <https://bankofgeorgia.ge/retail/ge/about-us/news?n=438>

9.2. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან/და ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განსაზღვროს კამპანიის დამატებითი პირობები/წესები. შეცვლილ წესებს და პირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განაახლებს ვებ-გვერდზე: [www.sb.ge](http://www.sb.ge)

